

შპს ინტერსტანდარტ საბურთალო
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ინტერსტანდარტ საბურთალო
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	2 413 236,00	2 236 287,00
საქონლის გაყიდვიდან	2 413 236,00	2 236 287,00
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	- 2 940,00	- 6 703,00
საერთო მოგება	2 410 296,00	2 229 584,00
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 82 859,00	- 115 475,00
საპროცენტო ხარჯი :	- 214 216,00	- 206 823,00
იჯარის ხარჯი	- 1 000,00	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 167 435,00	- 52 472,00
სულ საოპერაციო ხარჯები	- 465 510,00	- 374 770,00
საოპერაციო მოგება	1 944 786,00	1 854 814,00
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	1 944 786,00	1 854 814,00
განგრძობითი ოპერაციებიდან	1 944 786,00	1 854 814,00
მოგება/(ზარალი)	1 944 786,00	1 854 814,00
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1 944 786,00	1 854 814,00
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	1 944 786,00	1 854 814,00
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	1 944 786,00	1 854 814,00
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1 944 786,00	1 854 814,00
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2 215 417,00	309 003,00
კაპიტალის გაზრდა	104 815,00	51 600,00
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4 265 018,00	2 215 417,00

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

მთავარი ბუღალტერი
დირექტორი

ზურაბ აგაბანოვი
მათე აგაბანოვი




შპს ინტერსტანდარტ საბურთალო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1 078 288,00	1 143 695,00	1 302 737,00
სავაჭრო მოთხოვნები	1 695 866,00	363 190,00	1 850,00
გადახდილი ავანსები	215 356,00	230 750,00	87 830,00
მარაგები	2 863 061,00	1 819 309,00	422 138,00
სხვა	2 863 061,00	1 819 309,00	422 138,00
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	65 134,00
ძირითადი საშუალებები	308 873,00	308 873,00	304 323,00
სხვა გრძელვადიანი აქტივები	889 420,00	889 420,00	889 420,00
სულ აქტივები	7 050 864,00	4 755 237,00	3 073 432,00
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	27 890,00	-	621 463,00
საგადასახადო ვალდებულებები	5 523,00	52 103,00	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2 752 433,00	2 487 717,00	2 142 966,00
სულ ვალდებულებები	2 785 846,00	2 539 820,00	2 764 429,00
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	601 533,00	496 718,00	445 118,00
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3 663 485,00	1 718 699,00	- 136 115,00
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	4 265 018,00	2 215 417,00	309 003,00
სულ საკუთარი კაპიტალი	4 265 018,00	2 215 417,00	309 003,00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7 050 864,00	4 755 237,00	3 073 432,00

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

ზურაბ აგაბანოვი

მთე აგაბანოვი

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინტერსტანდარტ საბურთალო (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 405187621, დაფუძნდა 2017 წლის 31 იანვარს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, პაბლო პიკასოს ქ. N7, ბ. 16.

კომპანიამ 2017 წლის 27 სექტემბერს მოახდინა შპს „ჯეოტერა 3“-ის (ს/კ 404495373) 100%-იანი წილის შესყიდვა. აღნიშნულ ანგარიშგებაში ასახულია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის მდგომარეობით.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი ბინების მშენებლობა და სარემონტო მომსახურება.

2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორთა წილები:

მესაკუთრე	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქეთევან პავლიაშვილი 54001025415	33,4%
მათე აგახანოვი 31001009526	33,3%
ზაზა რუბანოვი 31001015036	33,3%

კომპანიის დირექტორი არის მათე აგახანოვი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგება პირველად მომზადდა „მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ნაგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური მოგების ან ზარალის ანგარიშგებაზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდენილია სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ მოგება ან ზარალის სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2019 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 1 იანვარს	2.6766	3.0701
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახდით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახდო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახდო ღირებულებებს შორის

არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახდები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახდები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების ცვეთის წრფივ მეთოდს 5 წლიანი გამოყენების ვადის გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწევა. კომპანიას საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სავაჭრო ცენტრებთან მაღაზიების ფართებზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის ფართის გამოსყიდვის უფლება. შესაბამისად, კომპანიის მიერ გადახდილი იჯარის თანხა გამოიქვითება პერიოდის მოგება/ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის ნაშთის მეთოდით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

2. შემოსავლები

შემოსავალი 2018 და 2019 წლებისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2019
სამშენებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	2 236 287	2 413 236
სულ	2 236 287	2 413 236

3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 და 2019 წლებისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2019
ხელფასის ხარჯი	115 475	82 859
საბანკო ხარჯი	2 714	365
საკანცელარიო ხარჯი	664	303
საკონსულტაციო მომსახურება	9 000	9 151
კომუნალური ხარჯი	4 926	10 173
საპროცენტო ხარჯი	206 823	214 216
სხვა ხარჯი	35 168	148 444
სულ	374 770	465 510

4. ფული და ფული ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 1 იანვრის, 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018	31.12.2019
ნაღდი ფული სალაროში	1 300 632	925 820	945 319
ლარი საბანკო ანგარიშებზე	2 105	217 875	132 969
სულ	1 302 737	1 143 695	1 078 288

5. სავაჭრო მოთხოვნები, გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნებში ასახულია ბინების რეალიზაციიდან მისაღები დებიტორული დავალიანებები. ავანსები გადახდილია მომწოდებლებისთვის, რომელთაგან ჯგუფს მისაღები აქვს სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება. ასევე სხვა მიმდინარე

აქტივში 01.01.2018 მდგომარეობით ჯგუფს ასახული აქვს კონსოლიდირებული ზედმეტობა ბიუჯეტის მიმართ.

6. მარაგები

ჯგუფს მარაგებში ასახული აქვს სამშენებლო მასალები, გასაყიდად განკუთვნილი დაუმთავრებელი მშენებლობა და დამხმარე ინვენტარი.

7. ძირითადი საშუალებები

კომპანიის საკუთრებაში არსებულ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით.

8. გრძელვადიანი აქტივები

ჯგუფის გრძელვადიან აქტივებში ასახულია შპს „ინტერსტანდარტ საბურთალოს“ მიერ შპს „ჯეოტერა 3“-ის წილის ნომინალური ნასყიდობის ღირებულება 889 420 ლარი. ხოლო შემდგომი ინვესტიციები, რომლებიც განხორციელდება და ასახულია ორივე კომპანიის ინდივიდუალურ ბალანსში, კონსოლიდირებული ბალანსში არის ელიმინირებული.

9. ვალდებულებები

ჯგუფის ვალდებულებები 2018 წლის 1 იანვრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	01.01.2019	31.12.2019
საგადასახადო ვალდებულებები	-	52 103	5 523
სავაჭრო ვალდებულებები	621 463	-	27 890
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2 067 658	2 205 586	2 256 086
გადასახდელი პროცენტები	75 308	282 131	493 347
სულ ვალდებულებები	2 764 429	2 539 820	2 785 846

სავაჭრო ვალდებულებები წარმოქმნილია კომპანიის ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობისათვის შეძენილი საქონლის და მომსახურებებიდან.

გრძელვადიან სასესხო ვალდებულებები ჯგუფს ასახული აქვს შპს „ინტერსტანდარტ ჯორჯიასგან“ (ს/კ 417878425) მიღებული სესხები და მასზე დარიცხული პროცენტები.

10. საკუთარი კაპიტალი

ჯგუფის საკუთარი კაპიტალი 2018-2019 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018	31.12.2019
გაუნაწილებელი მოგება		1 718 699	3 663 485
ზარალი	(136 115)		
კაპიტალი	445 118	496 718	601 533
სულ გაუნაწილებელი მოგება	309 003	2 215 417	4 265 018

კაპიტალი მოიცავს მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალის შევსებას დამფუძნებლების მიერ, ხოლო შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალის შევსება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის, რადგან შვილობილი კომპანიის კაპიტალის 100%-იანი მფლობელი არის მშობელი კომპანია და მოხდა საერთო მუხლის ელიმინირება.

12. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, ჯარიმები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

ზურაბ აგაბანოვი

მათე აგაბანოვი

